Citation ;

Marc Jamoulle, Ana Kareli, Natia Natroshvili : ზოგადი პრაქტიკის / საოჯახო მედიცინის ტერმინოლოგია, ვერსია 2.5 [General Practice / Family Medicine Multilingual Terminology version 2.5] Care Editions, Jumet, Belgium, 2017

ზოგადი პრაქტიკის / საოჯახო მედიცინის ტერმინოლოგია, ვერსია 2.5

Q-კოდი ძირითადი არაკლინიკური პრობლემების ტაქსონომია, რომლებიც ხვდება ზოგადი პრაქტიკის/ოჯახის ექიმის პრაქტიკაში უწყვეტი პროფესიული განვითარებისას

Each of the Q-Codes has a definition. The definitions have been carefully selected from online available terminologies, papers or dictionaries available in the book. The below list is extracted from the HeTOP server www.hetop/Q . Each definition is followed by its source between brackets and by the corresponding Q-Codes. The file with the sources of the definitions is available on www.3cgp.docpatient.net

უპირატესი კატეგორია	Q-კოდების განმარტება	წარმომავლობის ID
აკრონიმი		**QO2**
აკადემიური ორგანიზაცია	მასწავლებელთა შემადგენლობა და ადმინისტრაციული პერსონალის წევრები, რომელთაც აქვთ აკადემიური ხარისხი უმაღლეს სამედიცინო სასწავლო დაწესებულებასა ან სამედიცინო საზოგადოებაში **(MeSH, see under Faculty, Medical)**	**QT14**
აკრედიტაცია	პროცესი, რომლის მიხედვითაც აღიარების მინიჭება ხდება პროფესიული ორგანიზაციის მიერ დაწესებულების ან მომსახურე პერსონალისთვის წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით **(Woncadic)**	**QT35**
არასამუშაო საათები	მომსახურება, რომელიც უზრუნველყოფს პაციენტებისთვის გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას მათი პირადი ექიმის არასამუშაო საათებში **(Woncadic)**	**QS2**
არასამედიცინო დამხმარე პერსონალი	ჯანდაცვის მომსახურების მიმწოდებლები, გარდა პრაქტიკოსი ექიმებისა და ექთნებისა, რომლებიც უვლიან და მკურნალობენ პაციენტებს. როგორც წესი მიმართავენ სხვადასხვა სახის დიაგნოსტიკურ, პრევენციულ, საგანამანათლებლო და მკურნალობის მეთოდებს მაგალითად: ფიზიოთერაპევტები, ორთოპედები და ფსიქოლოგები. **(Woncadic)**	**QS44**

უპირატესი კატეგორია	Q-კოდების განმარტება	წარმომავლობის ID
არასასურველი მოვლენა	არასასურველი მოვლენა: არასასურველ მოვლენას წარმოადგენს ნებისმიერი არასასურველი სამდიცინო შემთხვევა, რომელიც შეიძლება გამოვლინდეს ფარმაკოლოგიური პროდუქტებით მკურნალობისას, მაგრამ არ არის აუცილებელი მიზნობრივი კავშირი ჰქონდეს მკურნალობასთან (WHO Upssala, 2011) ფარმაკოლოგიური სიფხიზლე; ხანმოკლე და ხანგრძლივი გვერდითი ეფექტების გამოლენა სტანდარტული და ტრადიციული მედიკამენტების კვლევისას,ასევე ჯანდაცვის პროვაიდერების და პაციენტებისგან მიღებული მონაცემთა ანალიზის, მონიტორინგის და სამედიცინო ინფორმაციის შეფასებისას (MeSH)	QT52
ასაკობრივი ჯგუფი	პრაქტიკაში არსებული პაციენტების სია დალაგებული ასაკისა და სქესის მიხედვით. ამ ჯგუფების ძირითადი მიზანია განსაზღვროს კონკრეტული პოპულაცია, რომლთა მიმართაც შესაძლებელია გამოთვლა პრაქტიკაში დაფიქსირებული შემთხვევების (ადაპტირებულია Woncadic-იდან)	QC1
აღჭურვილობა	აღჭურვილობა და გრძელვადიანი მოხმარების ნივთები, რომლებიც ნარჩუნდება რამდენიმე წლის განმავლობაში, მაგ. საწოლები, გასასინჯი მაგიდები, სტერილიზატორები, მიკროსკოპები, სასწორები და საწოლები (ECHO)	QS14
ახალშობილი	მიეკუთვნება ბავშვთა კატეგორიას, მათ არ შეუძლია სიარული და ჩვეულებრივ ერთ წლამდე ასაკისაა (ადაპტირებულია Woncadic-დან)	QC11
ახალი კოდის განხილვა		QO4
ბავშვი	15 წელზე ნაკლები ასაკის პირი (0 - 14 წლის). (Woncadic)	QC12
ბავშვთა მიმართ სასტიკი მოპყრობა	სასტიკი მოპყრობა ბავშვის მიმართ. შესაძლებელია ეს იყოს სექსუალური ძალადობა, როდესაც ბავშვი ჩართულია სექსუალურ აქტივობაში ზრდასრულთა მიერ; ფიზიკური ძალადობა- ფიზიკური დაზიანება გამოწვეული სისასტიკით ან გაუმართლებელი დასჯით; უყურადღებობა- არ ხდება ძირითადი ფიზიკური საჭიროებების დაკმაყოფილება, ემოციური ძალადობა- ხდება ნეგატიური ემოციების გამოვლენა მომვლელის მხრიდან ან საერთოდ არ ხდება სიყვარულის გამოხატვა, რაც აზიანებს ბავშვის ემოციურ განვითარებას. (Woncadic)	QC52
ბალინტის ჯგუფი	ჯგუფი ოჯახის ექიმების /ზოგადი პრაქტიკის ექიმების, რომლებიც ხანგრძლივი დროის მანძილზე რეგულარულად იკრიბებიან რათა განიხილონ მკურნალობის მეთოდები, პაციენტის მოვლისას პრაქტიკაში გამოვლენილი ემოციური პრობლემები. მათი მიზანია სამედიცინო მაჩვენებლების ხარისხის გაუმჯობესება და პაციენტის მოვლის უნარის ამაღლება (Woncadic)	QT24
ბებიაქალი	ქალების მოვლისა და კონსულტაციის უზრუნველყოფა ორსულობის, მშობიარობის და მშობიარობის შემდგომ პერიოდში. ისინი დამოუკიდებლად იღებენ მშობიარობას ან ექიმებთან, ექთნებთან და სხვა ჯანდაცვის მუშაკებთან ერთად. ეხმარებიან მშობლებს და აძლევენ რჩევებს ბავშვთა მოვლაზე (ISCO 08 2222)	QS43

უპირატესი კატეგორია	Q-კოდების განმარტება	წარმომავლობის ID
ბიოლოგიური საფრთხე	ორგანული წარმოშობის პროცესები ან პროცესები რომლებიც ვრცელდებიან ბიოლოგიური ვექტორებით, მათ შორის პათოგენური მიკროორგანიზმების, ტოქსინებისა და ბიოაქტიური ნივთიერებების ზეგავლენა, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს სიკვდილი ან ტრავმები, ქონებრივი ზიანი, სოციალური და ეკონომიკური დარღვევის ან გარემოს მდგომარეობის გაუარესება (Reliefweb)	QH2
ბირთვული საფრთხე	ჯანმრთელობის პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია რადიაციის ზეგავლენით გარემოს, საზოგადოებასა და პიროვნებაზე (MeSH, see under Radiologic Health)	QH3
ბიოეთიკა	ბიო მედიცინისა და ბიოსამედიცინო კვლევაში წარმოქმნილი ეთიკური, სოციალური და იურიდიული საკითხების შესწავლა. (NIEH Gloss)	QE3
გადარჩენილი (ცოცხლად დარჩენილი)	ვიღაც ან რაღაც რაც ჯერ კიდევ არსებობს მოვლენის შემდეგ რომლის დროსაც შეიძლება დაღუპულიყო ან განადგურებულიყო (Macmillan dic)	QC6
განათლება ჯამრთელობის შესახებ	ჯანრთელობის ხელშესაწყობად ინფორმაციის მიწოდება, რჩევის, კონსულტაციისა და ტრენინგის ჩატარება (Woncadic)	QD23
გამოწერის ჩვევები	რეცეპტის შაბლონები დამოკიდებულია გამომწერი პირის პროფესიონალურ კვალიფიკაციაზე, მათი დატრენინგების ხარისხზე, ცოდნის ამაღლებასა და ზედამხედველობის ღონისძიებებზე, დამკვიდრებულ ტრადიციებს, მარკეტინგის წახალისებებს, პაციენტის უპირატესობებს, რეგულირებას, მედიკამენტების და მკურნალობის სახელმძღვანელოს ხელმისაწვდომობაზე. (Pavignani & კოლუმბია, WHO 2008)	QD325
გარემოს ჯანმრთელობა	მეცნიერება მდგომარეობების კონსტროლის ან მოდიფიცირების, გავლენების ან ძალების რომლებიც გარს არტყავს ადამიანს და დაკავშირებულია ჯანმრთელობის ხელშეწყობას, დადგენასა და შენარჩუნებასთან (MeSH)	QH1
გარე დაბინძურება	ჰაერში დამაბინძურებელი შენაერთების ან მინარევების არსებობა. მოიცავს ექსპოზიციებსაც, რომლებიც ხვდება გარემოში. (NIEHS gloss)	QH12
გამოსაკვლევი მასალა	მასალა შესაძლებელია შეგროვდეს მონაწილის დაკვირვებით ან არაპირდაპირად და რეტროსპექტულად, რომელიც წარმოადგენს მომხდარ ბუნებრივ მოვლენას. იგი შეიძლება შეგროვდეს აუდიო ან ვიდეო ჩანაწერის საშუალებით, მაგ. პაციენტის და ექიმის ურთიერთკაშირისას (Woncadic)	QR54
გაიდლაინი (გზამკვლევი)	რეკომედირებული პროგრამების ცნობარი, რომელიც შემუშავებულია მტკიცებულებებზე დაფუზნებული მედიცინის მიხედვით, რათა დაეხმაროს ექიმს და პაციენტს შესაბამისი სამედიცინო მომსახურების ასარჩვად კონკრეტული კლინიკური შემთხვევის დროს (Woncadic)	QT32
გენეტიკური პრობლემა	მოიცავს მემკვიდრეობით დარღვევებს, დაავადების ან დაავადებული ბავშვის ყოლის შესაძლებლობას, ასევე პრევენციის სხვადასხვა სახეებს, დიაგნოსტიკას და მართვას აღნიშნული მგომარეობების. (Woncadic)	QD34
გენდერული საკითხი	პირველად ჯანდაცვასა და საოჯახო მედიცინაში წამოჭრილი კითხვები რომლებიც უკავშირდება პაციენტის ან ექიმის სქესს და მათ ურთიერთკავშირს.მოიცავს გენდერულ როლს და გენდერულ იდენტობას. (ადაპტირებული Veloshnee & Loveday WHO 2007)	QC2

უპირატესი კატეგორია	Q-კოდების განმარტება	წარმომავლობის ID
გენდერული ძალადობა	გენდერული ძალადობის მოდელი, მოიცავს განმეორებად ცემასა და დაზიანებებს, ფსიქოლოგიურ, სექსუალურ ძალადობას, პროგრესირებად სოციალურ იზოლაციას, წართმევას და დაშინებას (ადაპტირებულია Flitcraft, et all 1992.)	QC51
დანიშნულ წამლებზე დამოკიდებულება	რეცეპტით გასაცემი ნარკოტიკული საშუალების ან მედიკამენტების არასათანადოდ , არადანიშნულებისამებრ ან არარეკომენდირეულად გამოყენება (ადაპტირებულია MeSH, see under Prescription Drug Misuse)	QC41
დაავადების გაყიდვა	ტერმინი დაავადებების გაყიდვა, აფართოებს ბაზარზე ავადმყოფობის საზღვრებს მათთვის ვინც ყიდის და აწვდის მკურნალობას (Moynihan et al., 2008)	QD442
დასაშვებლობა	დასაშვებლობა ეხება კულტურულ და სოციალურ დისტანციას. იგი ძირითადად ეხება ჯანდაცვის მიმწოდებელთა მახასიათებლებს-ჯანდაცვის მუშაკთა ქცევებს, გენდერულ ასპექტს, გადამეტებულ ბიუროკრატიას და ა.შ (Hausmann-Muela & all, 2012)	QP25
დროებითი ხელმისაწვდომობა	დროებითი ხელმისაწვდომობა დაკავშირებულია პაციენტის ვიზიტის დაგეგმვის სხვადასხვა მეთოდებთან, ჩაწერის სისტემასთან, ინდივიდუალურ ან ჯგუფურ შეხვედრებთან, სამუშაო საათებთან, ლოდინის ხანგრძლივობასთან და ა.შ. (ადაპტირებულია MeSH Appointments and Schedules)	QP22
ეთნიკური ქვეჯგუფი	სოციალური ჯგუფი, რომელიც უზიარებს განმასხვავებელ სოციალურ და კულტურულ ტრადიციას თაობებს, საერთო ისტორიას და წარმოშობას, გამოცდილებასა და ხშირად საერთო გენეტიკურ მემკვიდრეობას (Woncadic)	QC31
ეკონომიკა, პირველადი ჯანდაცვა	დისციპლინა რომელიც კონცენტრირდება ეკონომიკის პრინციპებზე და წესებზე პირველად ჯანდაცვაში (ადაპტირებულია IIME)	QR7
ეკონიმიკა პრაქტიკაში	საოჯახო მედიცინისა და პირველადი ჯანდაცვის სფეროს ეკონომიკური ასპექტები. იგი მოიცავს დაავადების ეკონომიურ და ფინანსურ გავლენას პაციენტის, ექიმის, საზოგადოების ან მთავრობის მიმართ. (ადაპტირებული MeSH- ს, იხილეთ ეკონომიკა, სამედიცინო)	QS12
ელექტრონული კომუნიკაცია	ჯანდაცვის პარტნიორების მიერ ელექტრონული საშუალებებით დისტანციაზე ინფორმაციის გადაცემა (მოიცავს პაციენტებს) (განახლებულია MeSH, see under Telecommunication)	QT44
ელექტრონულად ცოდნის გაზიარება	თანატოლებისთვის ცოდნის ელექტრონული საშუალებებით გავრცელება და გაზიარება. (ადაპტირებულია Ryu & all, Expert systems, 25:1. 2003)	QT42
ეუთანაზია	სიცოცხლის შეწყვეტის აქტი ტანჯვისგან განსათავისუფლებლად. ეუთანაზია შეიძლება იყოს ნებაყოფლობითი (პაციენტი ითხოვს ღონისძიებების გატარებას მისი სიცოცხლის დასასრულებლად), აქტიური (მედიკამენტების შეყვანის გზით), ან პასიური (მკურნალობის მიზანმიმართული შეწყვეტით). (Woncadic)	QE31
ექიმის საკითხები	საკითხები, რომელიც ეხება ოჯახის ექიმს როგორც პირად ექიმს. იგი უპირველესად პასუხისმგებელია ყოვლისმომცველი და უწყვეტი დახმარება გაუწიოს ჯანმრთელობის პრობლემის მქონე ყველა ადამიანს რომელიც მიმართავს ასაკის, სქესის და დაავადების მიუხედავად (Euract 2005 partim)	QD

უპირატესი კატეგორია	Q-კოდების განმარტება	წარმომავლობის ID
ექიმი-პაციენტის ურთიერთობა	ექიმსა და პაციენტს შორის ალიანსი, რომელიც დაფუძნებულია თანამშრომლობაზე და არა კომფრონტაციაზე, რომლის დროსაც ექიმმა უნდა გააცნობიეროს რომ პაციენტი არის უნიკალური პიროვნება. მოახდინოს უფრო მეტად დამოუკიდებელი, აქტიური, დაცვა პაციენტის. შეამციროს ექიმის დომინირება და გამოავლინოს მეტი ურთიერთანამშრომლობა (ადაპტირებულია Kaba & Sooriakumaran 2007)	QD12
ექიმი, როგორც კარიერა	სოციო-ფიზიოლოგიური პროცესი რომლის შედეგადაც ექიმსა და პაციენტს შეუძლიათ გავლენა იქონიონ ერთმანეთის ჯანმრთელობაზე დადებითი ან უარყოფითი კუთხით (Adler MH 2002)	QD2
ექსპერტის რჩევა	შესაბამისი მონაცემების პრეზენტაცია სპეციალური უნარ-ჩვევების ან ცოდნის მქონე პირის მიერ კონკრეტულ საგანში (MeSH, იხილეთ ექსპერტიზის ჩვენება)	QR6
ექთანი	მკურნალობა და ზრუნვა ადამიანებზე, რომლებიც ფიზიკურად ან გონებრივად არიან დაავდებულნი, ხანდაზმულები, დაზარალებულები ან ფიზიკურად ან გონებრივად არიან შეზღუდულნი. მათი პასუხისმგებლობაა დაგეგმონ და მართონ პაციენტზე ზრუნვა, მათ შორის სხვა ჯანდაცვის მუშაკების ზედამხედველობა, რომლებიც მუშაობენ გუნდში ექიმებთან და სხვა პირებთან ერთად უზრუნველყოფენ პროფილაქტიკური და სამკურნალო ღონისძიებების პრაქტიკაში გამოყენებას, საჭიროების შემთხვევაში ახდენენ საგანგებო სიტუაციებში რეაგირებასაც (ISCO 08 2221)	QS42
ექსპერტთა შეფასება	კრიტიკული შეფასება პროფესიონალი კოლეგების მიერ საერთო საკითხებთან დაკავშირებით, სამედიცინო პრაქტიკის ასპექტები, კვლევითი პროტოკოლები, ხელნაწერები, რომლებიც წარდგენილია პუბლიკაციისთვის ან თეზისები, პრეზენტირებული სამეცნიერო შეხვედრებზე (Woncadic)	QT34
ზრუნვის უწყვეტობა	საოჯახო მედიცინა/ზოგადი პრაქტიკისთვის დამახასიათებელი მართვა პაციენტის ჯანმრთელობის პრობლემების ხანგრძლივი დროის მანძილზე. საყურადღებოა ურთიერთობისა და ინფორმაციის უწყვეტობა (Woncadic)	QD25
ზრდასრული	პირი, რომელმაც მიაღწია ზრდასრულთა სერტიფიცირების სამართლებრივი ასაკს (Woncadic)	QC14
თამაშებზე დამოკიდებულება	პაციენტის დამოკიდებულება რისკის შემცველ ქმედებებზე, რათა მიაღწიოს სასურველი მიზნს. მგ. აზარტული თამაშები ფულზე (ადაპტირებულია Mesh, see under Gambling)	QC43
თვით მოვლა	პაციენტის მიერ შესრულებული აქტივობა ან დავალებები რომელსაც ჩვეულებრივ ასრულებს ჯანდაცვის პროფესიონალთა ჯგუფი. კონცეფცია მოიცავს საკუთარ თავზე, ოჯახზე ან მეგობრებზე ზრუნვას. (ადაპტირებულია MeSH Self Care)	QP53
თემზე დაფუძვნებული კვლევა	კოლაბორაცული პროცესი მკვლევარებისა და საზოგადოების წარმომადგენლებს შორის. (MeSH, see under Community-based Participatory Research)	QR22
ინფორმაციის თარგმანი	დინამიური და ინტერაქციული პროცესი, რომელიც მოიცავს სინთეზს, გავრცელებას, გაცვლას და ცოდნის ეთიკურ გამოყენებას ჯანმრთელობის გაუმჯობესების მიზნით (CIHR, 2010)	QT4

უპირატესი კატეგორია	Q-კოდების განმარტება	წარმომავლობის ID
ინტერვენციული კვლევები	კვლევები, რომლებიც დაკავშირებულია სუბიექტის სტატუსის განზრახ ცვლილებასთან. მგ. გაცნობა თერაპიული ან პროფილაქტიკური სქემის ან ჩარევა, რომელიც მიმართულია ჰიპოთეზური კავშირების დასადგენად. ჩვეულებრივ ესეთი ექსპერიენტები რანდომიზირებულ კონტროლირებადი კვლევებია (Dicepid)	QR325
ინფორმირებული თანხმობა	პაციენტის ან გამოსაკვლევი პირის ნებაყოფლობითი თანხმობა, დიაგნოსტიკურ ან საკვლევ პროცედურებზე, სამედიცინო და ქირურგიულ მკურნალობაზე რისკების სრული შეფსებით. (MeSH)	QE42
ინფორმაციული ეთიკა	ეთიკის ნაწილი, რომელიც ყურადღებას ამახვილებს ურთიერთკავშირზე ინფორმაციის წარმოქმნას, ორგანიზებას, გავრცელებასა და გამოყენებას შორის, ასევე ეთიკურ სტანდარტებსა და მორალურ კოდექსზე რომელიც არეგულირებს ადამიანების ქმედებას საზოგადოებაში (ODLIS)	QE4
კვლევა	კრიტიკული ან სამეცნიერო კვლევები უფრო ღრმა ცოდნის ან ახალი ინფორმაციის მისაღებად. (Woncadic)	QR
კვლევის მეთოდი	მეთოდების სპეციფიური ნაკრები პირველად ჯანდაცვაში გავრცელებული მდგომარეობების ეფექტური დიაგნოსტიკისა და თერაპიული ჩარევების შესამოწმებლად, მათ შორის ხარისხიანი მიდგომები, ხანგრძლივი და ინტერვენციული კვლევები (ადაპტირებულია Kruschinski et al. EGPRN 2010)	QR3
კვლევების ვალიდაცია	კვლევა პროცესების გამოყენებით, რომლის საფუძველზეც ხდება დადგენა სპეციფიკური მიზნებისათვის პროცედურის საიმედოობა და რელევანტურობა (MeSH Validation Studies- ის თემატიკა)	QR34
კვლევითი ქსელი	ამბულატორიულ პრაქტიკოსთა ჯგუფი, რომლებიც მიმართულია პაციენტთა პირველადი ზრუნვისკენ, დაკავშირებულია ერთმანეთთან (ხშირად აკადემიურ ან პროფესიულ ორგანიზაციებთან), რათა შეისწავლონ სათემო პრაქტიკასთან დაკავშირებული საკითხები (AHRQ)	QR4
კვლევითი ინსტრუმენტები	ტექნიკური მასალა რომელიც გამოიყენება პირველად ჯანდაცვაში / საოჯახო მედიცინაში. მოიცავს დაფინანსებასაც	QR5
კლინიკური კომპეტენცია	ხარისხი, რომლის დროსაც ექიმის ქცევა შეესაბამება კარგი კლინიკური პრაქტიკის დადგენილ ნორმებს. (Woncadic)	QD24
კლინიკურად აუხსნელი სიმპტომები	სიმპტომები, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს ან არა ფიზიკურმა დაავადებამ, იგი არ შეესაბამება ობიექტურ მონაცემებს და ხშირად დაკავშირებულია მაღალ ხარჯებთან, როგორც პირდაპირ (ჯანდაცის მომსახურება), ასევე არაპირდაპირ (პროდუქტიულობის დაკარგვა ავადმყოფობის გამო), რაც წარმოადგენს უფრო სერიოზულ პრობლემას, ვინაიდან შეიძლება იყოს მუდმივი ან მეტწილად მისი ფუნქციონირება უფრო შეზღუდული ვიდრე მოსალოდნელი იყო, დაავადების (ობიექტური) პარამეტრებზე დაყრდნობით (ადაპტირებულია Olde Hartman, Aamland & Rsak 2014)	QD321
კლინიკური პრევენცია	პრევენციული ზომების მიღება. სამედიცინო პრაქტიკის სფერო, რომელიც შედგება სხვადასხვა დისციპლინებისგან, სადაც გამოიყენება უნარები ორიენტირებული მოსახლეობის განსაზღვრულ ჯგუფის ჯანმრთელობასა და კეთილდღეობის ხელშეწყობასა და ამაღლებაზე, ასევე დაავადების, ინვალიდობისა და ნაადრევი სიკვდილის თავიდან აცილებაზე. (Woncadic)	QD4

უპირატესი კატეგორია	Q-კოდების განმარტება	წარმომავლობის ID
კოჰორტული კვლევები	კვლევები რომლებშიც მონაწილეობს განსაზღვრული პოპულაციის დიდი ჯგუფი. ამ ჯგუფზე შეიძლება იყოს ან არა ზემოქმედება ფაქტორების, რომლებიც გავლენას ახდენენ შესაძლებლობაზე განვითარდეს კონკრეტული დაავადება ან სხვა შედეგი. კოჰორტა არის პოპულაცია რომლებიც მთლიანობაში უნდა განისაზღვროს როგორც ქვეჯგუფების განმასხვავებელი მახასიათებლები. (MeSH)	QR322
კოორდინირებული ზრუნვა	ხარისხი, რომლითაც პაციენტისთვის დახმარების გაწევა არის კოორდინირებებული სხვადასხვა მიმართულებით, საქმიანობითა და ოპერატიული სისტემის ერთეულებით. მოვლის კოორდინაციის ხარისხი გამომდინარეობს პირველ რიგში პაციენტის მდგომარეობიდან და მისი ჯანდაცვის გუნდის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებიდან (WHO Gloss 2016)	QS33
კონუმიკატორი	პირი, რომელიც უზიარებს ინფორმაციას და გრძნობებს სხვა ადამიანებს ვერბალური და არავერბალური გზით. სამედიცინო განათლებასთან კონტექსტში კომუნიკატორის ძირითადი ფუნქციაა პაციენტსა და ექიმის შორის ურთიერთგაგების დამყარება (ადაპტირებულია IIME)	QD1
კონსულტაცია	კონსულტირება, რომლის დროსაც პროფესიონალი აქტიურ როლს თამაშობს კლიენტის ან პაციენტისთვის გადაწყვეტილების მიღების ხელშეწყობაში, რჩევის და / ან რეკომენდაციების შეთავაზებით (MeSH, იხილე დირექტივის კონსულტირება)	QD13
კომპლემენტარული (დამატებითი) მედიცინა	ალტერნატიული მედიცინა არის ნებისმიერი პრაქტიკა, რომელიც წამოყენებულია როგორც სამკურნალო ეფექტის მქონე, მაგრამ არ არის წარმოშობილი სამეცნიერო კვლევის მეთოდებიდან (Wikipedia)	QD5
კონფიდენციალობა	სამედიცინო ეთიკის პრინციპი თუ როდის და სად უნდა განემხილოს მესამე პირს პირადი და შეზღუდული სახის ინფორმაცია, რომელსაც პაციენტი აწვდის ექიმს. ინფორმაციის გასაცემად ექიმმა ჩვეულებრივ ნებართვა უნდა აიღოს პაციენტისგან (Woncadic)	QE41
კულტურალური კომპეტენცია	კულტურული კომპეტენცია ეხება ხარისხს, რომლითაც კლინიცისტი ინტეგრირებას ახდენს კულტურული შეხედულებების კომუნიკაციაში, დიაგნოსტიკასა და მკურნალობის დაგეგვმაში (Haggerty et all 2007)	QP23
კრიტიკული კითხვა	სწავლება EBM-ში სამედიცინო მონაცემთა ბაზის ძიების, მათ შორის კლინიკური საკითხის განსაზღვრა, სამედიცინო მტკიცებულებების მოძიება, მტკიცებულებათა კრიტიკული ასახვა და პრაქტიკაში დანერგვა (EURACT 2014)	QT33
ლტოლვილი	პირი, რომელიც თავს შველის უსაფრთხო ადგილას გაქცევით, განსაკუთრებით ისინი, ვინც უცხო ქვეყანაში ან ხელისუფლებაში გადადიან რათა თავი დააღწიონ საშიშროებას ან დევნას საკუთარ ქვეყანაში ან იცვლიან მუდმივ საცხოვებელ ადგილს რასის, რელიგიის ან პოლიტიკური რწმენის გამო ((Webster, 3 გამომცემლობა) (MeSH)	QC32

უპირატესი კატეგორია	Q-კოდების განმარტება	წარმომავლობის ID
მამაკაცთა ჯანმრთელობა	მამაკაცთა ჯანმრთელობის საკითხები დაკავშირებული ფიზიოლოგიურ, ფსიქოლოგიურ, სოციალურ, კულტურულ ან გარემოს ფაქტორებზე, რომლებიც სპეციფიურ გავლენას ახდენენ ბიჭსა თუ მამაკაცზე ან / და როდესაც კონკრეტული სახის ინტერვენციებია საჭირო ბიჭებისა ან მამაკაცებისთვის, ჯანმრთელობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და კეთილდღეობისთვის ინდივიდუალურ ან მოსახლეობის დონეზე (EU 2011 წ.)	QC21
მაღალი სოციალური რისკი	მოსახლეობის ან ინდივიდის მახასიათებლები, რომლებიც გენეტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული ან ფსიქოლოგიური გარემოებებიდან ან გენეტიკური წინასწარგანწყობიდან გამომდინარე მგრძნობიარენი არიან კონკრეტული დაზიანებისა ან დაავადებების მიმართ (Woncadic)	QC3
მეორადი პრევენცია	ქმედება , რომელიც მიმართულია პრობლემის გამოსავლენად დაავადების ადრეულ სტადიაზე ინდივიდუალურად ან პოპულაციაში, რაც აადვილებს მკურნალობას, ამცირებს ან თავიდან აარიდებს დაავადების გავრცელებას, ან ხანგრძლივ ზემოქმედებას (მგ. სკრინინგი, ადრეული დიაგნსტიკა) (Woncadic)	QD42
მესამეული პრევენცია	ქმედება რომელიც მიმართულია ქრონიკული დაავადების გართულებების შესამცირებლად ინდივიდუალურად ან პოპულაციაში ფუნქციური დარღვევების მინიმუმდე დაყვანით, რაც დაკავშირებულია მწვავე ან ქრონიკულ დაავადებთან (მგ დიაბეტის გართულებების პრევენცია). მოიცავს რეაბილიტაციასაც. (Woncadic)	QD43
მეოთხეული პრევენცია	ქმედება, რომელიც მიმართულია პოლიპრაგმაზიის რისკის ქვეშ მყოფი პაციენტების გამოსავლენად, ახალი წამლის ინვაზიური ზემოქმედებისგან დასაცავად და ეთიკურად მისაღები ინტერვენციის შესათავაზებლად (Woncadic)	QD44
მომართვის მიზეზი	პაციენტსა და ჯანდაცვის მიმწოდებელს შორის ნებისმიერი სახის პროფესიული გაცვლა. მიმწოდებელი შეიძლება იყოს როგორც ერთი პროფესიონალი ასევე ჯანდაცვის მთელი გუნდი (Woncadic)	QD11
მედიკამენტების ჭარბი გამოყენება	გადაჭარბებული ზემოქმედება ან სამედიცინო მომსახურებისადმი მისწრაფება რაც არ მოუტანს ჯანმრთელობას არანაირ შედეგს, უშუალოდ დაკავშირებულია ტერმინებთან : ჰიპერ სკრინინგი, ჰიპერდიაგნოსტიკა , მედიკამენტების ჭარბი გამოყენება (Vaz Cardoso 2014)	QD441
მეცნიერების ფილოსოფია	მეცნიერების ფილოსოფია- ეს არის ფილოსოფიის ნაწილი რომელიც დაკავშირებულია მეცნიერების საფუძვლებთან, მეთოდებთან და შედეგებთან. ძირითადი კითხვები ეხება თუ რა ითვლება მეცნიერებად, მეცნიერული თეორიების საიმედოობა და მიზანი. (DBpedia)	QR1
მისადგომობა	ღონისძიებების სიმარტივე რომლითაც კონკრეტულ პოპულაციას შეუძლია მიიღოს ჯანდაცვის სისტემაში არსებული შესაბამისი სამედიცინო მომსახურეობა. (IIME)	QP21
მოზარდი	13- დან 17 წლამდე ასაკის პირი (ადაპტირებული Woncadic-დან)	QC13
მოტივაციური გასაუბრება	მეთოდი, რომელიც ხელს უწყობს კლიენტში შინაგანი მოტივაციის ჩართვას და ხელშეწყობას ქცევის შეცვლის მიზნით. მოტივაციური გასაუბრება არის კლიენტზე და მის სტილზე ორიენტირებული, მიმართულია ქცევითი ცვლილებების გამოსავლენად და ეხმარება მათ ამბივალენტურობის აღმოჩენასა და მოგვარებაში (DBpedia)	QD15

უპირატესი კატეგორია	Q-კოდების განმარტება	წარმომავლობის ID
მომსახურების მენეჯერი	პირი რომელიც პირველად აწარმოებს პაციენტებთან კომუნიკაცის, აგვარებს პრობლემებს საკითხის მიუხედავად; მოიცავს სამედიცინო მომსახურეობის სრულ სპექტრს; ახდენს კოორდინირებულ ზრუნვას პირველადი ჯანდაცვის სხვა პროფესიონალებთან და სხვა სფეროს სპეციალისტებთან; აწარმოებს ეფექტურ და მიზანმიმართულ ზრუნვას ; პაციენტისთვის ხელმისაწვდომს ხდის ჯანდაცვის სისტემაში შესაბამის მომსახურეობებს და საჭიროებისას გამოდის მისი დამცველის როლში. (Euract, 2005)	QD3
მრავლობითი დაავადებები	ერთი ადამიანისთვის ერთდროულად რამოდენიმე დაავდების ქონა. (Van den Akker et all 1998)	QD322
მწვრთნელი, ტრენერი	პროფესიონალი, ჩართული საგანმანათლებლო პროცესში, როგორც პროცესის მმართველი, რათა იხელმძღვანელოს და გამოხატოს მოსწავლეების ინტერესი (EURACT 2014)	QT25
მტკიცებულებებზე დაფუძვნებული მედიცინა	ინდივიდუალური პაციენტების მოვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას არსებული საუკეთესო მტკიცებულების კეთილსინდისიერი, გამოხატული და გონივრული გამოყენება (Woncadic)	QT31
ნარკომანი	პირი, რომელიც დამოკიდებულია ნარკოტიკებზე ან კონკრეტულ ქმედებებზე. იგი განიცდის სიმპტომებს და გამოავლენს ნიშნებს თუ მათი ზემოქმედება წყდება(Woncadic)	QC4
ოჯახის დაგეგმარება	სერვისები რომელიც მიზნად ისახავს ინდივიდუალურად დახმარება გაუწიოს პირებს ოჯახის დაგეგმაში (ადაპტირებულია MeSH, see under Family Planning Services)	QD27
ოჯახის ექიმი	ზოგადი პრაქტიკის ექიმები, ოჯახი ექიმები არიან პირადი ექიმები რომლებიც უპირველესად პასუხისმგებელნი არიან ყოვლისმომცველ და გრძელვადიანი ზრუნვის მიწოდებაზე ნებისმიერი ადამიანისთვის რომელიც მიმართავს სამედიცინო დახმარების მიასაღებად მიუხედავად ასაკის, სქესისა და დაავადებისა. ისინი ზრუნავენ პიროვნებებზე მათი ოჯახის, საზოგადოებისა და კულტურის გათვალისწინებით და ყოველთვის პატივის სცემენ თავიანთი პაციენტების ავტონომიას "(Euract 2005 partim)	QS41
პატიმარი	პირი, რომლის თავისფლებაც აღკვეთილია საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ. (Webster)	QC34
პაციენტთა კატეგორია	სხვადასხვა ტიპის პოპულაციის თვისებები და მახასიათებლები პირველადი ჯანდაცვის სფეროში სოციალური ან გეოგრაფიული ჯგუფის ფარგლებში, განსაკუთრებული აქცენტით დერმოგრაფიულ, გენდერულ, ჯანმრთელობის ჩვევებს, ჯანმრთელობის მდგომარეობასა და სოციალურ-ეკონომიურ ფაქტორებზე. (ადაპტირებული MeSH მოსახლეობის მახასიათებლები)	QC
პალიატიური მზრუნველობა	წარმოადგენს აქტიურ, პაციენტზე ორიენტირებულ მოვლას მაშინ, როდესაც დაავადება აღარ რეაგირებს დანიშნულ მკურნალობაზე და ტკივილის, სხვადასხვა სიმპტომების, ფსიქოლოგიური, სოციალური და სულიერი პრობლემების კონტროლი გადამწყვეტია (Woncadic)	QD26
პაციენტთან დაკავშირებული პრობლემა	პაციენტის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ნებისმიერი ტიპის საშიშროება, რომელიც გამოვლენილია პაციენტის ან ჯანდაცვის სფეროს წარომადგენლის მხრიდან. (adapted from Woncadic)	QP
პაციენტის უსაფრთხოება	პაციენტის უსაფრთხოება არის პაციენტისათვის ზიანის არ მიყენება სამედიცინო მომსახურების მიღების დროს (WHO)	QP1

უპირატესი კატეგორია	Q-კოდების განმარტება	წარმომავლობის ID
პაციენტზე ორიენტირება	მიდგომა, რომელშიც ოჯახის ექიმი პაციენტს აღიქვამს როგორც ერთიან მთლიანს და არ განიხილავს მხოლოდ მის ჯანმრთელობის პრობლემას. ეს საშუალებას აძლევს პაციენტს გამოხატოს მისი მოლოდინი, აზრები, გრძნობები და შიში, მაშინ როდესაც ოჯახის ექიმი ეხება პაციენტის ცხოვრების ყველა ასპექტს. ეს ხელს უწყობს ექიმს, განიხილოს თითოეული პაციენტი, როგორც უნიკალური ადამიანი. (Woncadic)	QP2
პაციენტის პერსპექტივა	პიროვნების მიერ სურვილის გამოხატვა ან ერთი სამოქმედო კურსის უპირატესობა, გამოსავალია ან სხვებისგან გამორჩევა (from MeSH Patient preference)	QP4
პაციენტის კმაყოფილება	პაციენტის გადაწყვეტილება მოთხოვნილი სამედიცინო ან ჯანდაცვის სერვის კმაყოფილების ხარისხზე (Woncadic)	QP41
პაციენტის განათლება	ხარისხი, რომლის დროსაც პიროვნებას აქვს უნარი მიიღოს, გადაამუშაოს და გაანალიზოს ძირითადი სამედიცინო ინფორმაცია და მომსახურება, რომელიც აუცილებელია შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად ჯანდაცვის სფეროში (from MeSH Health literacy)	QP42
პაციენტის დამოუკიდებლობა	პიროვნების უფლება, გამოხატოს თავისუფალი ნება ინფორმირებული არჩევანისას. (Woncadic)	QP43
პაციენტის კულტურა	ყველა სახის ქცევის კოლექტიური გამოხატვა რომელიც შეძენილია და გადაეცემა სოციალური სიმბოლოების მეშვეობით. კულტურა მოიცავს ჩვევებს, ტრადიციებსა და ენას (MeSH)	QP44
პაციენტის ხარჯები	თანხის გადახდა ფიზიკური პირების ან მათი ოჯახის წევრების მხრიდან ჯანმრთელობის სერვისის მისაღებად, რომლის დაფარვაც არ ხდება მესამე მხარის , დაზღვევის ან სამედიცინო დახმარების მიერ (from MeSH Financing, personal)	QP45
პაციენტის კვება	პაციენტის პრობლემები დაკავშირებული საკვები ნივთიერებების საჭიროებასა და გამოყენებას შორის. (ადაპტირებულია MeSH Nutritional Status)	QP51
პაციენტის სექსუალობა	პაციენტის პრობლემა დაკავშირებული სექსუალურ ფუნქციასთან, ქმედებებთან, ურთიერთობებსა და ორიენტაციასთან . (ადაპტირებულია MeSH Sexuality)	QP52
პაციენტის თანამონაწილეობა	კლიენტის ან მოსახლეობის ჩართულობა პრაქტიკასა და სერვისი მიწოდების სტრუქტურასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებაში (მგ: საკონსულტაციო კომიტეტი, საზოგადოების მმართველობა) (APHC2004)	QP6
პაციენტის უფლებების დაცვა	პაციენტისთვის დახმარების გაწევა ან მისი სახელით ქმედება (Woncadic)	QP7
პედაგოგიური მეთოდი	სტანდარტული მეთოდები მასალის საპრეზენტაციოდ, საქმიანობის შინაარსი, მასწავლებლის და მოსწავლის როლი. ზოგიერთი მათგანი მასწავლებელზეა ორიენტირებული ზოგი კი სტუდენტებზე. სწავლის გასაუმჯობესებლად შეიძლება გამოყენებულ იქნას მრავალი მეთოდი, რომელთაგან ზოგიერთი უნიკალურია მედიცინისთვის (Woncadic)	QT11
პირველადი პრევენცია	ქმედება რომელიც მიმართულია რათა თავიდან იქნეს არიდებული ან მოგვარებული ჯანმრთელობის პრობლემები ინდივიდუალურად ან პოპულაციაში მის წარმოქმნამდე, მათ შორის ჯანმრთელობის ხელშეწყობა და დაცვა (მგ. იმუნიზაცია) (Woncadic)	QD41

უპირატესი კატეგორია	Q-კოდების განმარტება	წარმომავლობის ID
პირადი შეხედულება	პირადი შეხედულებები, ემოციები, რელიგია ან რწმენა , რომლებიც ხელს უშლის ზრუნვის პროცესს და კონკრეტული სამედიცინო მომსახურების მიწოდებას, რაც იწვევს პაციენტთა ტანჯვას.მოიცავს შეგნებულ პროტესტს და შეგნებულ უარს (ადაპტირებულია Genuis & Lipp 2013- დან)	QE1
პირველადი ჯანდაცვის ეპიდემიოლოგია	ჯანდაცვის სფეროში წარმოქმნილი პრობლემის შესასწავლად და საკონტროლოდ ეპიდემიოლოგიური პრინციპების და მეთოდების გამოყენება. (Dicepid)	QR2
პირველადი ჯანდაცვის მოწყობა	შენობა-ნაგებობების მშენებლობა, რომლებიც უზრუნველყოფენ ჯანდაცვის სფეროში სერვისების მიწოდებას მაგალითად, ოჯახის ექიმი/ ზოგადი პრაქტიკის ექიმები, თემის ექთნები, სტომატოლოგები, ანტენატალური და ბავშვთა კლინიკები და სხვა. ასეთი ცენტრებიდან შესაძლებელია სოციალური მომსახურეობების მიღებაც. (Woncadic)	QS1
პირველადი ჯანდაცის მომსახურების მიმწოდებელი	პირი, გუნდი ან ორგანიზაცია რომელიც უწევს პირველი რიგის სამედიცინო დახმარებას პაციენტს ან ზრუნვის საგანს (ადაპტირებულია Woncadic)	QS4
პლანეტარული ჯანმრთელობა	პლანეტარული ჯანმრთელობა არის ადამიანთა ცივილიზაციის და ბუნებრივი სისტემების მდგომარეობა. (Horton & Lo Lancet;386;14,2015)	QH
პრობლემის გადაჭრა	სიტუაცია, რომელშიც ერთზე მეტი ალტერნატივაა, საიდანაც კეთდება არჩევანი კონკრეტული მიზნის მისაღწევად. (MeSH)	QD21
პროფესიული იერი (გამომეტყველება)	იდენტიფიცირება და პროცესების გააზრება, რომლის მიხედვითაც ოჯახის ექიმი ცდილობს აკონტროლოს სხვების მიერ შექმნილი წარმოდგენა მათზე როგორც პროფესიონალთა ჯგუფზე, მაგალითად, შთაბეჭდილების მართვა (ადაპტირებულია Rodriguez et all 2014)	QD7
პროფესიული ეთიკა	შესაბამისი ქცევის პრინციპები უფლებებთან და პროფესიულ მოვალეობებთან დაკავშირებით, ურთიერთობა პაციენტებთან ან მომხმარებლებთან, ასევე პროფესიული და ინტერპერსონალური ურთიერთობები პაციენტთან ან ოჯახის სხვა წევრებთან (From Stedman, 25th ed) (MeSH)	QE2
პრაქტიკული კვლევები	კვლევის სტრატეგია, რომელიც ეფუძნება სოციალურ გარემოს და ამავდროულად მიზნად ისახავს სამოქმედო ხარისხის გაუმჯობესებას. ორი ძირითადი პრობლემა პრაქტიკაში გაუმჯობესება, ცოდნის გაღრმავება და ურთიერთგაგება დაკავშირებულია ერთმანეთთან. (Woncadic)	QR35
პრაქტიკის მენეჯმენტი	სხვადასხვა მომსახურეობებით უწყვეტი ზრუნვის უზრუნველყოფა პაციენტის ირგვლივ საჭიროებისა და რესურსების ინტეგრაციისა და კოორდინაციის მეშვეობით (WHO Gloss 20016)	QS11
პრაქტიკაში ურთიერთობა	ორმხრივი ურთიერთკავშირი პერსონალისა მათ პაციენტებთან და სხვა სპეციალისტებთან პირველად ჯანდაცვაში (ადაპტირებულია MeSH)	QS3
პრაქტიკული თანამშრომლობა	მრავალპროფილური გუნდის მიერ, პაციენტზე ზრუნვა, რომელიც როგორც წესი, ორგანიზებულია ექიმის ხელმძღვანელობით; გუნდის თითოეულ წევრს აქვს განსაზღვრული მოვალეობა და მთელი გუნდი უზრუნველყოფს პაციენტზე ზრუნვას (adapté de MeSH, see under Patient care team)	QS31

უპირატესი კატეგორია	Q-კოდების განმარტება	წარმომავლობის ID
პროფესიული მომზადება	ტრეინინგი, რომელიც მიზნად ისახავს პროფესიული გამოცდილების ხელის შეწყობას და ეხმარება შემსწავლელს აღმოაჩენოს, განსაზღვროს და დახვეწოს მისი უნარები რათა გამოიყენოს ზოგადი პრაქტიკის / ოჯახის ექიმის კარიერაში (Woncadic)	QT22
პუბლიკაცია	ლიტერატურული გამოცემები ბიზნესების ან კომერციული წარმოების პროფესიების. იგი მოიცავს გამომცემელს, პუბლიკაციის პროცესს, რედაქტირებასა და რედაქტორებს. (MeSH)	QT41
რაოდენობრივი კვლევები	რაოდენობრივი კვლევა საბუნებისმეტყველო და სოციალურ მეცნიერებებში არის სისტემური ემპირიული გამოკვლევა დაკვირვებად მოვლენებზე სტატისტიკური, მათემატიკური ან ტექნიკური მეთოდებით. (Given, 2008 Sage)	QR32
რეფერალი (გადამისამართება)	პროცესი, რომლის დროსაც, პაციენტის მოვლაზე, ნაწილობრივ ან მთლიანად ზრუნვა დროებით გადაეცემა სხვა ჯანდაცვის პროვაიდერს. პაციენტი შეიძლება გაგზავნილ იქნეს კონკრეტული მომსახურეობის მისაღებად, საერთო აზრის დასაფიქსირებლად, ან სხვა მიზეზების გამო. (Woncadic) კონტრ რეფერალი: მეორადი ზრუნვა, რომელიც რეაგირებს დაუყოვნებლივ და კოორდინირებულად როგორც კი პაციენტი გადამისამართდება პირველადი ჯანდაცვიდან, რთული შემთხვევების დროს მოიცავს სწრაფადმავალ საშუალებებსაც. (EXPH, 2014)	QS32
საკონტროლო ქსელი	საოჯახო მედიცინაში, პრაქტიკაში ექიმთა კავშირი, რომელიც ვალდებულია განახორციელოს ზედამხედველობა და გამოაქვეყნოს კონკრეტული წინასწარ განსაზღვრული მოვლენები (ადაპტირებულია Dicepid- დან)	QT51
სასწავლო ორგანიზაცია	საგანამანათლებლო ორგანიზაცია პირებისთვის რომლებიც სპეციალიზდებიან მედიცინაში (from MeSH Schools, Medical)	QT12
სარიტუალო დასახიჩრება	სხვადასხვა მიზეზით ჩადენილი სხეულის მოდიფიკაცია;კულტურული შეხედულებები, თვით იდენტიფიკაციის მიღწევა, საზოგადოების იდენტურობა, მიმზიდველობა, დაშინება ან ცხოვრების ეტაპზე გადაკვეთა. იგი არ ხდება შემთხვევით, შეიცავს სარგებელს და მოდიფიცირების პროცესში შეთანხმებულ თანამონაწილეობას (adapted from Barnes, Danielle M.(2010)	QC55
საერთო გადაწყვეტილების მიღება	პრაქტიკოსი ექიმისა და პაციენტის ურთიერთთანამშრომლობა, რათა მიღებულ იქნეს საერთო გადაწყვეტილება პაციენტის მოვლასთან დაკავშირებით. საერთო გადაწყვეტილების მიღება გულისხმობს რომ პაციენტმა მიიღოს განათლება და გააცნობიეროს არჩევანის რისკები და უპირატესობები (Cochrane-Legare 2010)	QD323
სამედიცინო სამართლებრივი საკითხი	სამედიცინო საკითხი, რომელიც ეხება მედიცინის ნებისმიერ ასპექტს, რომელსაც აქვს კანონთან ურთიერთკავშირი(Woncadic)	QD6
სამუშაოსა და ცხოვრებას შორის ბალანსი	პრიორიტეტების სწორად განაწილება "სამსახურსა" და "პირად ცხოვრებას" შორის (DBpedia)	QD8
სამედიცინო ეთიკა	იდენტიფიცირება, ანალიზი და გადაწყვეტა მორალური პრობლემების, რომელიც წარმოიშვება პაციენტის მოვლის დროს. (Bioethics Thesaurus)(from MeSH Ethics, clinical)	QE
სამედიცინო ინფორმაციის მართვა	ადეკვატური მეთოდები და სისტემები რომლებიც დროულად და კომფიდენციალურად მოიცავს, განაახლებს, აღადგენს და მონიტორინგს უწევს პაციენტების მონცემებს (Haggerty et all 2007)	QS13

უპირატესი კატეგორია	Q-კოდების განმარტება	წარმომავლობის ID
საოჯახო მედიცინის ფარგლებს გარეთ		QO3
სიმულაციური პაციენტი	იმიტირებული პაციენტი (SP) ან სტანდარტული პაციენტი (SP) (ასევე ცნობილია როგორც ინსტრუქტირებული პაციენტი) ჯანდაცვის სისტემაში არის ჯანმრთელი ობიექტი, ან რეალური პაციენტი რომელიც მომზადებულია წინასწარ და ზუსტად და თანმიმდევრობით განასახიერებს კონკრეტულ შემთხვევას, რათა იმიტირება მოახდინოს სიმპტომების ან პრობლემების. იგი ასევე დატრენინგებულია და აფასებს მონაწილე სტუდენტებს, აღსაზრდელებს ან ექიმებს წინასწარგანსაზღვრულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით (EURACT 2014)	QT131
სისტემური აზროვნება	პრინციპები, მოდელები და კანონები, გამოიყენება რთული ურთიერთკავშირების და ურთიერთდამოკიდებულების ერთობლიობისას, რომლებიც ქმნიან ფუნქციონირებად ერთიან სისტემას. (ადაპტირებულია MeSH, from Systems theory)	QD14
სოციალური მუშაკი	რეკომენდაციას უწევს კლიენტებს სოციალურ და მასთან დაკავშირებულ საკითხებთან, რათა უზრუნველყონ რესურსის მოძიება და გამოყენება სირთულეების დასაძლევად და კონკრეტული მიზნების მისაღწევად (ISCO 88 3460)	QS442
სოციალური ქსელი	პლატფორმა ხალხებს შორის სოციალური ქსელების შექმნის ან სოციალურ ურთიერთობების, რომლებსაც აქვთ საერთო ინტერესები, აქტივობები, წარმომავლობა ან რეალური კავშირები (ადაპტირებულია DBpedia)	QP61
სტრუქტურა	გარემოცვები, პირადი შემადგენლობა, სამედიცინო აღჭურვილობა, ტექნიკა და მენეჯმენტი პირველადი ჯანდაცვაში	QS
სტუდენტი	სამედიცინო სკოლაში განათლების მიღების პერიოდი. შეერთებულ შტატებში იგი მოსდევს ბაკალავრის და წინ უსწრებს მედიცინის დოქტორის ხარისხს. (MeSH)	QT21
სქესობრივი სხვაობა	წარმოადგენს ადამიანის ბიოლოგიურ სტატუსს და, როგორც წესი, კლასიფიცირდება როგორც მამრობითი, მდედრობითი, ან ინტერსექსი (მაგალითად, თვისებების ატიპიური კომბინაციები, რომლებიც, როგორც წესი, განასხვავებენ მამრობით სქესს მდედრობითისგან). არსებობს ბიოლოგიური სქესის რამდენიმე მაჩვენებელი, მათ შორის სქესობრივი ქრომოსომები, გონადები, შიდა რეპროდუქციული ორგანოები და გარე გენიტალია (APA 2011)	QC23
სწავლება	სწავლება საოჯახო მედიცინის საფუძვლების სტუდენტებისთვის (BME), პროფესიული სტაჟირება (VT) ან პრაქტიკოსი ექიმებისთვის უწყვეტი სამედიცინო განათლება (CME) ან უწყვეტი პროფესიული ზრდა (CPD) და ასევე ყველა მათთვის ვინც მონაწილეობას იღებს სასწავლო პროგრამებში (ადაპტირებულია EURACT 2014)	QT1
სწავლების შეფასება	სტრუქტურული პროცესი, რომელიც ხელს უწყობს თვითშეფასების გაადვილებას პიროვნების განვითარების ხელშეწყობას. ძირითადი მიზანი შეიძლება მოიცავდეს ყოველწლიური კვლევის შედეგების მოლოდინს; წიანასწარ შეთანხმებული ამოცანების პროგრესის განხილვას; მიღწევების აღიარებას; პიროვნული განვითარების საჭიროებების იდენტიფიკაციას (EURACT 2014).	QT13
სხვა		QO
ტაქსონომია	მრავალმხრივი, კომპლექსური მოვლენების კლასიფიკაციის ფორმალური სისტემა საერთო კონცეპტუალური დომენებისა და ზომების მიხედვით (Bradley EH et al. 2007)	QR51

უპირატესი კატეგორია	Q-კოდების განმარტება	წარმომავლობის ID
ტრანსგენდერი	მდგომარეობა გენდერული იდენტურობის ან გენდერული გამოხატულების, რომელიც არ შეესაბამება ბიოლოგიურ სქესს (Wikipedia)	QC24
ტრენინგი	პერსონალის პროფესიული მომზდების პროგრამა რომელიც განხორციელებულია ინსტიტუტის ან სააგენტოს დონეზე. იგი მოიცავს საორიენტაციო პროგრამებსაც (MeSH, see under Inservice Training)	QT2
ურეცეპტო მედიკამენტი	მედიკამენტები, რომლებიც შეიძლება გაიყიდოს ლეგალურად რეცეპტის გარეშე (MeSH, see under Nonprescription Drugs)	QP54
უსახლკარო	პირები, რომლებსაც არ გააჩნიათ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი. კონცეფცია გამორიცხავს მომთაბარე ხალხებს (MeSH)	QC33
უფროსებისადმი სასტიკი მოპყრობა	ერთჯერადი ან გამეორებადი ქმედება ან შესაბამისი ქმედების არარსებობა, რომელიც ვლინდება ნებისმიერი სახის ურთიერთობებისას რა დროსაც მოლოდინია ნდობის, მაგრამ აყენებს ზიანს ან დარდს ხანდაზმულ ადამიანს. (WHO Ageing and life-course 2004)	QC53
უწყვეტი სამედიცინო განათლება	ნებისმიერი და ყველა გზა, რომლითაც უმაღლესდამთავრებული ექიმი აგრძელებს სწავლას და ხანგრძლივი სამოქმედო სქემით ცვლის მის პრაქტიკას (EURACT 2014)	QT23
ფარმაცევტი	ექიმის, სტომატოლოგის ან სხვა უფლებამოსილი პირის მიერ გამოწერილი მედიკამენტების შერევა და განაწილება დანიშნულების შესაბამისად. უზრუნველყოფენ მედიკამენტების უსაფრთხო გამოყენებას და ხარისხს, ახდენენ ჯანმრთელობის შედეგების ოპტიმიზაციას მედიკამენტური თერაპიის შერჩევით, დამტკიცებით, მონიტორინგითა და შეფასებით, ასევე ფარმაცევტული და სამედიცინო პროდუქტების კვლევა-ტესტირება-განვითარების გზით (ISCO-08 2262)	QS46
ფარმაკოეპიდემიოლოგია	პოპულაციაში მედიკამენტების განაწილებისა და გადამწყვეტი ფაქტორების შესწავლა და ამ კვლევების გამოყენება ეფექტური და უსაფრთხო მკურნალობისთვის (Woncadic)	QR21
ფიზიოთერაპევტი	შეფასება, დაგეგვმა, ორგანიზება და მონაწილეობის მიღება პაციენტის სარეაბილიტაციო პროგრამებში, რომლებიც აუმჯობესებენ მობილობას, აძლიერებენ, ხსნიან ტკივილს, ამცირებენ ან პრევენციას უწევენ პაციენტის დაავადებას ან დაზიანებას. ისინი მიმართავენ მანიპულაციურ მეთოდებს, ულტრაბგერით გათბობას, ლაზერულ ან მსგავს ტექნიკის (ISCO 08 2264)	QS441
ფსიქოლოგი	ადამიანის ფსიქიკური პროცესებისა და ქცევის შესწავლა როგორც ინდივიდუალურად ასევე ჯგუფებში და ცოდნის გამოყენება პირადი, სოციალური, საგანმანათლებლო ან პროფესიული ადაპტაციისა და განვითარებისთვის (ISCO 88 2445)	QS443
ფუნქციური სტატუსი	პირის უნარი შეასრულოს და ადაპტირება განიცადოს გარემოში, დროის გარკვეულ მონაკვეთში შეაფასოს როგორც ობიექტურად ასევე სუბიექტურად (Woncadic)	QR53
ქალთა ჯანმრთელობა	ქალთა ჯანმრთელობა, მიმართული ქალებში დაავადებათა საპროფილაქტიკოდ და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესანარჩუნებლად. მოიცავს სკრინინგს, დიაგნოსტიკას და ქალებისათვის დამახასიათებელი განსაკუთრებული მდგომარეობების მართვას (NAWHME 1996)	QC22
ქუჩის ნარკოტიკებზე დამოკიდებულება	მომხმარებლები, რომლებიც ღებულობენ და ხშირად არალეგალურად ამზადებენ ნარკოტიკებს, მათივე გადმოცემით სუბიექტური ეფექტების გამოსაწვევად (ადაპტირებულია MeSH, იხ. ქუჩის ნარკოტიკები)	QC42

უპირატესი კატეგორია	Q-კოდების განმარტება	წარმომავლობის ID
ყოვლისმომცველობა	ყოვლისმომცველი მოვლის გრძელვადიანი მკურნალობის პრაქტიკა არის გარკვეული პერიოდის მანძილზე მრავლობითი ფიზიკური და ემოციური ჯანმრთელობის პრობლემების ერთდროული პროფილაქტიკა და მკურნალობა ოჯახის წევრებთან, ცხოვრების მოვლენებთან და გარემოსთან მიმართებით. (AAFP)	QD22
შემთხვევითობა	გამოიყენება უსიმპტომო პაციენტებში შემთხვევით აღმოჩენილი მასის სადიაგნოსტიკოდ, რომელიც დიდი ალბათობით არასდროს არ ავნებს პიროვნებას, თუმცაღა არ გამორიცხავს დაზიანების შესაძლებლობასაც. (Mariño 2015)	QD324
შეწყვეტა (მედიკამენტების, პრაქტიკის)	მიღებული კლინიკური პრაქტიკის შეწყვეტა (Niven & all 2015)	QD326
შეუძლებელია კოდირება, გაურკვეველია		QO1
შემთხვევა კონტროლის კვლევები	კვლევები რომლებიც აიდენტიფიცირებენ პიროვნების პრობლემას და სამიზნე ჯგუფს მათ გარეშე. კავშირი პრობლემის მახასიათებლის განიხილება შედარების გზით პრობლემასთან ერთად და მის გარეშე (Woncadic)	QR321
შერეული კვლევები	კვლევის პარადიგმა რომელიც ხელს უწყობს რაოდენობრივი და ხარისხობრივი კვლევების ელემენტების ერთად გამოყენებას, რთულ კითხვებზე საპასუხოდ (Heyvaert and all 2011)	QR33
შემთხვევის ანგარიში	პაციენტის სამედიცინო ისტორიის გამოქვეყნება (ობიექტური მონაცემების, კურსუსის და მკურნალობის) რომელიც მკითხველს საკმარის ინფორმაციას აწვდის პაციენტის ჯანმრთელობის პრობლემების გასაგებად და სთავაზობს მათი მოგვარების გზებს. (Woncadic)	QR36
შიდა დაბინძურება	შენობის შიგნით ჰაერის დაბინძურება. მოიცავს ნახშირბადის ოქსიდს, ნაწილაკებს და სხვა დამაბინძურებელ ნივთიერებებს რომლებიც ვრცელდება შენობის შიგნით ჰაერითა და მტვერით. (NIEH Gloss)	QH11
შინ მოვლა	ნებისმიერი ნათესავი, პარტნიორი, მეგობარი ან მეზობელი, რომელსაც აქვს მნიშვნელოვანი პირადი ურთიერთობები და უზრუნველყოფს დახმარების ფართო სპექტრს ხანდაზმული პირებისთვის ან ქრონიკულ ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ზრდასრულებისთვის (FCA , 2014)	QS45
შკალა	რიცხვითი შკალები და წინასწარ განსაზღვრული კითხვები გამოყენებული კლინიკური, სოციალურ-ეკონომიკური, ფუნქციური და ა.შ. მონაცემების შესაგროვებლად (ადაპტირებული Woncadic)	QR52
ციფრული ბიბლიოთეკა	ციფრული ობიექტების ინტერნეტ კრებული, მაღალი ხარისხის, რომელიც იქმნება ან გროვდება და იმართება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად კოლექციის განვითარებისათვის. ხელმისაწვდომია თანმიმდევრული და მდგრადი ფორმით, მხარდაჭერილია მომსახურებებით რომელიც აუცილებელი რათა მომხმარებელს შეეძლოს მოიძიოს და გამოიყენოს რესურსები. (Scielo 2014)	QT43
ცოდნის მართვა	ორგანიზაციის ფარგლებში კოლექტიური ცოდნის გამოყენება, როგორც კატალიზატორი პასუხისმგებლობისა და ინოვაციების გასაზრდელად. (MeSH)	QT

უპირატესი კატეგორია	Q-კოდების განმარტება	წარმომავლობის ID
ძალადობის მსხვერპლი	პირები, რომლებმაც ინდივიდუალურად ან კოლექტიურად განიცადეს ზიანი, მათ შორის ფიზიკური ან ფსიქიკური, ემოციური სტრესი, ეკონომიკური დანაკარგი ან ფუნდამენტალური უფლებების არსებითი გაუარესება (United Nations, 1985)	QC5
წამების მსხვერპლი	მსხვერპლი, განზრახ ჩადენილი ფიზიკური ან ფსიქიკური ტანჯვის, მოიცავს ცხოველთა წამებასაც. (ადაპტირებულია MeSH- დან, see under Torture)	QC54
ჭარბი ინფორმაცია	პერსონალურ დონეზე პიროვნების მხრიდან გაანალიზება (ან ამ პიროვნებაზე მეთვალყურის) იმის რომ სამუშაოსთან დაკავშირებული ინფორმაცია უფრო მეტია ვიდრე მისი აღქმაა შესაძლებელი და გაცნობიერება რომ ზედმეტად დატვირთვა ამაღლებს სტრესის ხარისხს მათთვის ვისთვისაც დაძლევის სტრატეგია არაეფექტურია (Wilson 2001)	QD443
ხარისხობრივი კვლევები	ხარისხობრივი კვლევა მოიცავს ბუნებრივ განმარტებით მიდგომას მსოფლიოს მიმართ. ხარისხობრივი მკვლევარები სწავლობენ საგნებს მათ ბუნებრივ გარემოში, ცდილობენ გაარკვიონ ან ინტერპრეტირება მოახდინონ მოვლენების ხალხის მიერ მინიჭებული მნიშვნელობიდან გამომდინარე (Denzin and Lincoln (2000)	QR31
ხანშიშესული	ხანდაზმული ასაკის პირები, როგორც წესი, 60-დან 65 წლამდე და პენსიაზე გასული . (Woncadic)	QC15
ხანგრძლივი კვლევები	კვლევა, რომელიც ეხება ინდივიდს ან ადამიანთა ჯგუფს, დროის გარკვეული პერიოდის მანძილზე. (MeSH, see under Longitudinal Studies; Woncadic)	QR324
ხარისხის გარანტი	დაგეგმილი ღონისძიებების პროცესი, რომელიც დაფუძნებულია ანალიზზე და ხარისხის გაუმჯობესებაზე პაციენტზე ზრუნვის მუდმივად სრულყოფის მიზნით(Woncadic)	QT3
ხარისხის მაჩვენებელი	გაზომვადი ელემენტი, რომლისთვისაც არსებობს მტკიცებულება ან კონსესუსი იმასთან მიმართებაში რომ იგი შეიძლება გამოყენებულ იქნას, მიწოდებული დახმარების ხარისხის შესაფასებლად (Woncadic)	QT36
ხელმისაწვდომობა	შესაძლებლობა მიიღო ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სრული პოტენციალი და არავინ დაზარალდეს მიზნის მიღწევისას მათი სოციალური პირობებიდან ან სხვა სოციალური მდგომარეობებიდან გამომდინარე (MeSH, see under Health Equity)	QP24
ჯანმრთელობის რისკის მართვა	პაციენტისათვის რისკის მინიმუმამდე შემცირების პროცესი, პოტენციური საფრთხეების იდენტიფიცირებისა და ანალიზის გზით, რათა თავიდან იქნას აცილებული ავარიები, დაზიანება და სხვა არასასურველი შემთხვევები. ასევე მოვლენების და ინციდენტების შესწავლის მცდელობა, ეფექტის ამაღლებისა და ხარჯების მინიმიზაციისთვის. (ადაპტირებულია MeSH, see under Risk Management)	QD31
ჯანდაცვის მომსახურების ხარისხი	ხარისხი საოჯახო მედიცინაში გულისხმობს უკეთეს შედეგებს, რომელის მიღწევაც შესაძლებელია არსებული რესურსებით და შეთანხმებულია პაციენტის ღირებულებებსა და უპირატესობებთან. (Woncadic)	QP3

უპირატესი კატეგორია	Q-კოდების განმარტება	წარმომავლობის ID
ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ქცევები	ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ქმედება- არის საშუალება, რომლითაც პიროვნება აერთიანებს ცოდნას, გამოცდილებასა და დამოკიდებულებებს რათა გავლენა იქონიოს ჯანმრთელობაზე. (Woncadic)	QP5
ჯანმრთელობის საკითხების მართვა	სამედიცინო დახმარების გაწევა კონკრეტული პრობლემის დროს ინდივიდუალურად პაციენტებში სიმპტომების პირველივე გამოვლენის ან მომართვის მიზეზისას დიაგნოსტიკიდან მკურნალობამდე (Woncadic)	QD32
ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება	ადამიანის უნარი შეაფასასოს როგორც ობიექტურად ასევე სუბიექტურად და ადატპირება განიცადოს გარემოსთან, დროის განსაზღვრულ მონაკვეთში. (Woncadic)	QD33
ჯანმრთელობის მდგმარეობის ანგარიშგება	ერთიანი, უნიფიცირებული მონაცემთა ბაზის შეგროვება, წარმოადგენს საწყის წერტილს რომლითაც ისაზღვრება სამედიცინო მომსახურების ხარისხი და სტანდარტული მინიმალური დემოგრაფიული მონაცემები (ადაპტირებულია AHRQ)	QT5
ჯანმრთელობის მონაცემთა ბაზა	მონაცემთა ბაზა, რომელიც შეიცავს პაციენტთა რეგისტრაციის მონაცემებს და ზრუნვის ყველა ღონისძიებას, რომელსაც ზოგადი პრაქტიკის ექიმი ირჩევს ჩასაწერად როგორც ჩვეულებრივი სამედიცინო პრაქტიკის ნაწილს (from GPRD)	QT53
ჯვარედინი კვლევები	დაკვირვებადი კვლევა რომელიც არ ამოწმებს კონკრეტულ ჰიპოთეზას ექსპერიმენტის ჩატარების გზით. საზღვრავს დაავადების სიმძიმეს და მათ მოსახლეობაში გავრცელებას (Woncadic)	QR323
ჰიპერსკრინინგი	გადაჭარბებული, შეცდომაში შემყვანი ან არასაჭირო სკრინინგის მეთოდები ისე რომ ზიანი გადაწონის სარგებელს (Pizzanelli 2014)	QD444
ჰიპერდიაგნოსტიკა	ჰიპერდიაგნოსტიკა ვლინდება როდესაც დიაგნოზი "სწორია" პროფესიულ სტანდარტებზე დაყრდნობით, მაგრამ პაციენტებისთვის დიაგნოზი ან მასთან დაკავშირებული მკურნალობა არაეფექტურია (Moynihan 2012)	QD445
ჰიპერმკურნალობა	მედიკამენტებით ჭარბი დატვირთვა, რაც იწვევს არაოპტიმალურ თანაფარდობას რისკსა და სარგებელს შორის. მკურნალობის ინიცირება იმ პირობებში როდესაც არ არის მოწოდებული. (Peruka & Kwan 2005)	QD446
ჰომეოპათია	მედიკამენტების სისტემა რომელიც მოიცავს პიროვნების მკურნალობას უაღრესად განზავებული ნივთიერებებით, ძირითადად ტაბლეტების ფორმით, სხეულის ბუნებრივად განკურნების მიზნით (ჰომეოპათთა საზოგადოება)	QD51